საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6272
21/10/2022

6272-21-2-202210211218

ი/მ ვლადიმირ სიმონოვს
ელ. ფოსტა: monovvova11@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4889 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება წალკის მუნიციპალიტეტში, მ. კოსტავას №52-ში, ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2022 წლის 19 აგვისტოს №21/4562 წერილში მითითებული საკითხი. კერძოდ, სკრინინგის განცხადების თანახმად, „უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს უშუალოდ საპროექტო ავტოგასამართი სადგურიდან დაახლოებით 80 მეტრში“, ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ „საპროექტო მიწის ნაკვეთს, სამი მხრიდან, დასავლეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება მიტოვებული სახლები“, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, დაახლოებით 20-50 მეტრში მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები (ს/კ: 85.21.26.238; 85.21.26.482; 85.21.26.049; 85.21.26.13; 85.21.26.078; 85.21.26.123; 85.21.26.481; 85.21.26.528). შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა უახლოეს მოსახლესთან დაშორებული მანძილის მითითებით;

- დოკუმენტში მითითებულია, რომ “სანიაღვრე წყლები შეიკრიბება საპროექტო ტერიტორიაზე ბეტონით მოსაწყობ ორმოში”, ასევე, “სანიაღვრე წყლების ჩადინება მოხდება სპეციალურად განკუთვნილ სალექარით აღჭურვილ ავზში”. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო